

F343
1999

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უმჯობესი უნდა სწავლობდეს
ხეცხობლად თავიხედათ:
ვის აწიხ, ხედაძ მოხუღა,
ხეც აწიხ, წავა ხედათ?



დ. ბ. ბ. ბ.



დილა 95

ჩვენს საღვინედ რომ გაშლიდა,
გვეფერება ბავშვებს ტკბილად,
საქართველოს ბედნარიდან
ატმის ტოტად ამოწვდილა...
გაუმარჯოს იუბილარს,
ჩვენს სავერედ ქურნელ
„დილას“

ჩუქნა პატარა მოგებებში!

მიმდინარე წელს ჩვენს ქურნელ „დილას“ 95 წელი უსრულდება. ამ ხნის განმავლობაში მას თავის მკითხველებთან ერთად მრავალი სიხარული განუცდია, ჰქონია გაჭირვებისა და მწუხარების დღეებიც. მაგალითად, 1941-45 ომის წლებში „დილა“ საერთოდ არ გამოდიოდა. ასევე, თითქმის 3 წლით იყო შეწყვეტილი მისი გამოცემა ამ ხუთიოდე წლის წინ, ის კი არა და, იყო სამიზრობა, უსახსრობის გამო საერთოდ დახურულიყო. მაშინ, ბატონ მურად წიფწივადის მამულებზე ილაშქრა უანგარო დახმარებამ გალაგვირჩინა „დილა“. მას შემდეგაც „ბაბუ მურადი“ გამოდებებით ზრუნავს „დილაზე“. ამ ბოლო დროს კი, როცა ქურნელს კვლავ ძალიან გაუჭირდა, როცა საქართველოს პრეზიდენტის მხარდაჭერამაც ვერ გამოიღო სასურველი შედეგი, ისევ ბატონმა მურადმა იმარჯვა და წინამდებარე ნომრის გამოსაცემი არცთუ ისე მცირე თანხა გაიღო. ჩვენ გვესმის, რომ ასეთი ქველმოქმედება გმირობის ტოლფასია და გვინდა, ჩვენო პატარა მკითხველო, შენი სახელად გულითადი მადლობა მოგახსენოთ ბატონ მურად წიფწივადს, და ვისურვოთ, სხვებსაც შეეძაძოთ მისი კეთილშობილებისა და სიუხვისათვის ქართველი ბავშვების სასიკეთოდ და ვასახარად.

რამაშობა

ბავშვების მადლობა

ვენაცვალე ბაბუ მურადს
გვერდში გვიდგას ვაჭრე-წიფწი
გამოგვიცა ბავშვებს „დილა“,
მკვლავი გაიმამყურა
გააკეთა რაც კეთილია,
სხვებს ჰქონოდაც ვაკეთილია.
თუ დავგვირდა, სამფუთიან
ლოდსაც ჩვენთვის დამცემს წიფწს...
გაუმარჯოს კაცს ხუთიან-
ბაბუ მურად წიფწივადს!

ზურაბ ლომინაძე



ეკლესია - ღვთის სახლი

ნანა ჩარკვიანი

წყალი - საიდუმლო

ყველამ ვიცით, რა არის წყალი, მაგრამ მოდით, მანძე ვთქვათ, რა არის წყალი.

წყალი არის ის, რაშიც შეიძლება ფეხები ჩაატყაპუნო და წვეთები აქეთიქით გააშხუფო;

წყალი არის ის, რაც ავებს ჭიქას, და თუ კიდევ დაუმატებ, გადმოღვრება;

წყალი შეიძლება დააგუბო, წყალში შეიძლება ქაღალდის გემი გაუშვა, ის იტივტივებს და არ ჩაიძირება იმიტომ, რომ ქაღალდის გემი მსუბუქია; მაგრამ წყალში არც დიდი და მძიმე გემი იძირება, პატარა კენჭი კი იძირება;

წყალი არის ის, რაც მოწანწვარებს ონკანიდან, მორაკრაკებს წყაროდან, მოწუხწუხებს ნაკადულად, გადმოსწქევს ჩანჩქერად, მოედინება მდინარედ. მდინარე სათავეს იღებს (ე.ი. იწყება) მთის მწვერვალთან, ჩამოედინება მთის კალთებზე, უფრო ქვემოთ — მინდვრებზე, გავიჯაკებს და ბოლოს ზღვას უერთდება. ვითამაშობთ ეზოში წყლით? - რა თქმა უნდა. თუ წყალს სწორ მიწაზე ან ასფალტზე დაასხამთ, ის სხვადასხვა მხარეს გაიშლება, დაღმართზე მდინარესავით, ერთ ნაკადად ჩამოიღვრება, ასე „გაქუთდება“ პატარა მდინარე. ე.ი. დაღმართები იმიტომაც არსებობს, რომ მდინარეებმა იდინონ. მაგრამ თუ თამაშისას წყლის დასხმას შეწყვეტთ, პატარა „მდინარე“ ცოტა ხანს იდინს და შემდეგ დაიკარგება; დიდი მდინარეები კი სულ მოედინებიან და მოედინებიან. ვინ „აკეთებს“ დიდ მდინარეებს?

მდინარეების წყალი ზღვაში ჩაედინება. ზღვა არის ძალიან ბევრი წყალი, რომელიც ტალღებად მოიქცევა და მიიქცევა, ხან ღელავს. ზღვაზე მეტი წყალია ოკეანე, ოკეანეები და ზღვა ძალიან ღრმაა, იმიტომ, რომ წყალი ნაპირებიდან არ გადმოვიდეს და მიწა არ დაფაროს.

მაგრამ წყალმა შეიძლება ყველაფერი ნალექოს. გახსოვთ ბიბლიაში აღწერილი წარლენის ამბავი;



თუმცა, იგივე წყალი ის არის, რაზეც დაეცურავდა წყლის კიბობანი, და რაშიც არ დაიღუბნენ ნოეს ოჯახი და კიდობანში მყოფი ცხოველ-ფრინველები.

ზღვაში და ოკეანეებში ცხოვრობენ ზღვის ცხოველები, თევზები, წყალმცენარეები; ე.ი. წყალი არის ის, რაშიც შეიძლება ცხოვრება. უწყლოდ ვერ ძლებენ თევზები. არც მცენარეებს შეუძლიათ უწყლოდ ცხოვრება. თუ ოთახის მცენარეებს არ მორწყავთ, ისინი ფოთლებს ჩამოყრიან, დაჭკნებიან და მოკვდებიან. მათ ზრუნვა სჭირდებათ. მორწყვა

სჭირდებათ ხეხილის ბაღებს, პურის ყანებს, ვენახებს; ვერც ერთი მცენარე ვერ გამოიღებს ნაყოფს, თუ წყალი არ ექნა. მაგრამ ვინ ზრუნავს ტყეებზე ან მინდვრის ველურ ყვავილებზე?

წყალი შეიძლება აორთქლდეს და ღრუბლებად იქცეს. ღრუბლებს წყალი გადააქეთ იქ, სადაც არ არის მდინარეები და მიწა გამშრალია, გადააქეთ და რწყავენ მიწას. ე.ი. წყალს შეუძლია ერთი ადგილიდან მეორე ადგილას გადაფრინდეს. იცოდით?

უწყლოდ ვერ ძლებენ ვერც ფრინველები, ვერც ცხოველები, ვერც ადამიანები. ყველაფერს, რაც ცოცხალია, სჭირდება წყალი, უმისოდ ყველაფერი კვდება. ე.ი. წყალი არის სიცოცხლე.

წყალი არის ის, რაც გვახველებს, რაც წვეთებად ვკიდება ხის ტოტებს როცა წვიმს; რაც წკაპუნებს სახლის სახურავზე, რაც ჭკაფის სხივებად იშლება გუბურებში; რის გამოც ადამიანები ღაბაბაღებს იცვამენ ან ქოლგებით დადიან — ქოლგა არის პატარა სახურავი, რომელსაც შენ თვითონ ატარებ, სახალისოა, არა?

წყალში შეიძლება შეხვიდე და გაცურო, ეს არანვეულებრივი გრძნობაა.

წყალი გამჭვირვალეა, შიგ შეიძლება ჩაყვინთო და ზღვის ფსკერი დაინახო; წყალი უფეროა, მაგრამ ბევრი წყალი ერთად, ზღვაში, ცისფერია ან მწვანე; წყალი შეიძლება



ამღვრიო, გაატალახიანო; შეიძლება გააფერადო, მაგალითად, აკვარელის საღებავით. წყალი არის ის, რისი დახმარებითაც შეიძლება დახატო, იმიტომ რომ, თუ აკვარელის საღებავს წყალში არ გახსნი, ისე ვერ დახატავ.

წყალი შეიძლება იყოს ცივი და თბილი, ცხელი და მდულარი. წყალი თუ გაიყინა, ყინულად იქცევა. ყინული წესით წყალში უნდა იძირებოდეს, მაგრამ ის კი არ იძირება, წყალზე მსუბუქი ხდება და ზედაპირზე ტივტივებს. ტბებში და მდინარეებში წყალი მხოლოდ ზემოთ იყინება, იმიტომ რომ მთლიანად რომ გაყინულიყო, თევზები და წყალმცენარეები დაილუპებოდნენ. ზედაპირზე გაყინული წყალი კი სცივებს აღარ უშვებს სიღრმეში და წყალი თბილი ყინულის ქვეშ რჩება, ე.ი. ყინული საბანია მდინარეებისა და ტბებისთვის.

სულ სხვანაირად იყინება წყალი ღრუბლებში, წარმოიადგინეთ, რომ ის მდინარის წყალივით გაყინულიყო ღრუბლებში. მაშინ ციდან ყინულის უზარმაზარი ნაჭრები დაიწყებდა ცვენას. ჩვენ კი ვიცით, რომ ღრუბლების წყალი პატარა და უმსუბუქეს ფიფქებდ იქცევა და ცვივა ძალიან ნაზად. რომ არაფერი დააზიანოს, თან ფიფქები ლამაზები არიან! თოვლი მინაში ჩამალულ ფესვებს იცავს გაყინვისაგან. ე.ი. თოვლიც მინის საბანია.

ვინ „მოიგონა“ წყალი?

წყალი არის ის, რითაც ვიბანთ და ჭუჭყს ვიცვლივთ. წყალი არის გამწმენდელი.

ჩვენ, ქრისტიანები, წყლით ვინათლებით, რადგან ნათლობის წყალი ჩამოგვბანს სულის ჭუჭყს, გაგვაშორებს ცოდვებს. ჩვენ ასე ვლოცულობთ — უფალო შეგვიწყალო ე.ი. ჩამოგვაშორე ცოდვის ჭუჭყი.

წყალი თან უგემოა, თან ყველაზე გემრიელი.

ჩვენ ყოველდღე ვსვავთ წყალს, მაგრამ ისე გწყურდება და ისე ვსვავთ. იესო ქრისტე ^{სამაჟურტელ} დედაბავს ასე ეუბნება: — მე ისეთ წყალს მოგცემ, რომელსაც თუ ერთხელ დალევ, აღარ მოგწყურდებაო.

წყურვილს ვუნოდებთ არა მხოლოდ იმას, როცა წყლის დალევა გვინდება, არამედ იმას, როცა რაღაც ძალიან გვინდა. თუ ადამიანებს ერთმანეთი მოენატრათ, შეიძლება ასეთი რამ უთხრან ერთმანეთს: — წყალივით მომწყურდა შენი ნახვაო.

მეფე დავითის ფსალმუნში არის სიტყვები: „ვიითარცა სურინ ირემსა წყაროთა მიმართ წყალთასა, ეგრე სურის სულსა ჩემსა შენდამი, ღმერთო!“ ტაძრების კედლებზე გამოსახული არიან ხოლმე ირემები, რომლებიც წყაროს წყალს ენაფებიან. ე.ი. ადამიანის სულს, სწყურია ღმერთი, ადამიანი ისევე ვერ ძლებს ღმერთის გარეშე, როგორც ვერ ძლებს უწყლოდ. ღვთის გარეშე მყოფ ადამიანს სულ რაღაც აკლია, სულ რაღაც სწყურია, ბევრმა არც კი იცის, რა სწყურია მის სულს, როგორ მოიკლას წყურვილი; არ იცის, ვინ „მოიგონა“ წყალი, ჩვენ კი, ქრისტიანებმა, ვიცით, ვინ „მოიგონა“ წყალი, ვინ „გააკეთა“ მდინარეები, ვინ „რწყავს“ მცენარეებს, ვინ არწყვლებს ცხოველებს, ვინ ზრუნავს ადამიანზე და აძლევს ისეთ წყალს, რომელსაც, თუ ერთხელ დალევ, აღარ მოგწყურდება; ჩვენ ვიცით, სად მოვიპოვოთ ეს წყალი, რადგან ყოველი ზიარებისას ეკლესია ასე გალობს: „უკვდავებისა წყაროსა გემო ვიხმაროთ“ (ვიგემოთ).

ე.ი. ქრისტე ყოველი ზიარებისას გვიმასპინძლებდა ზეციური უკვდავების წყლით;

წყალი არის საიდუმლო, უფალო, გვაგემე შენი წყალი საიდუმლო, წყარო უკვდავებისა.

ამინ.



ივანე (ბადრი) ღვინჯიას კე მუსსერიძე

*დაიბადა 1945 წელს თბილისში.
დაამთავრა მ-ე საშუალო სკოლა,
შემდეგ თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი.
პროფესიით ინჟინერ-მშენებელია.
შპავს მეუღლე და ორი შვილი.*

ბადრი მუსსერიძეს სხვადასხვა სფეროში მოუხდა მუშაობა, მაგრამ სადაც წავიდა და რა საქმესაც მოაქცია ხელი, ყველგან შეუცვდა ბავშვების სასიკეთოდ მცირედი მანც ვაკუუმი. ასე დაუკავშირდა „დილასაც“ პირველ სექტემბერს თბილისის საბურთალოს რაიონის სკოლებში ყველა პირველკლასელს ბატონი ბადრის საჩუქარი — „დილის“ სექტემბერ-ოქტომბრის ნომერი და ქართული ანბანის ფერადი ნახატებითა და ანდაზებით გაფორმებული მშვენიერი გამოცემა დახვდება მერსზე.

დღეს ჩვენი ფურნალის ფურცლებიდან ბატონი ბადრი საქართველოს ყველა ბავშვს ულიცავს პირველ სექტემბერს.



ჩემო პატარებო, მინდა პირველი სექტემბერი მოგილოცოთ. რამდენი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც მე არ განმიცდია პირველი ზარის სიხარული, მაგრამ სწავლის დაწყების დღე ახლაც ისეთივე საუცხოო და ლამაზია, როგორც ადრე, ჩემი ბავშვობის დროს.

თვალწინ მიდგას თქვენი მხიარული, მშვენიერი, ზაფხულის მზით გარუჯული სახეები. რომ იცოდეთ, როგორ აკლდით თქვენს სკოლას, მთელი ზაფხული გაბუტული იდგა და გელოდათ. აბა, ახლა შეხედეთ, თითქოს მხრებში გაიშალა, განათდა, გალამაზდა და გამხიარულდა. იცინეთ, ივისკისეთ, იფრიაშულეთ და სიცოცხლე აგრძნობინეთ სკოლას, ვალში არც ის დაგრძნობათ — ყოველდღე ახალს გეტყვით და გასწავლით.



დანარჩენი თქვენზეა დამოკიდებული, XXI-ე საუკუნის დიდო ხალხო, თქვენ უნდა შეაღოთ მომავალი ათასწლეულის კარიბჭე. საქართველოს ყოველი თქვენგანი დასჭირდება, დასჭირდება თქვენი კაი კაცობა და კაი ქალობა. მოამზადდეთ თავი დიდი და კარგი საქმეებისათვის. წარმატებებს გისურვებთ!

ბადრი მუსსერიძე

ვაჭარა სინათლა

ჭიამაია მთელი დღე მინდორში დაფრენდა, სავიწებებს ქებდა, ერთობოდა... საღამოს თავის გვირილას ყვავილთან მიფრინდა დასახიზნებლად, უცვრად გვირილას ძირიდან ერთი მოყავისფრო მწერი ამოფრინდა:

— გამარჯობა, — მეესალმა, თან მაშინვე გამოემშვიდობა, — ნახვამდისო და, გაფრინდა.

— გამარჯობა, — შიამაია ჭიამაიამ, ნახვამდის თქმა კი ვეღარ მოახსრო, მწერი უკვე შორს იყო.

დღით მწერი ისევ მოფრინდა; ისევ ისე, როგორც წინა საღამოს, გამარჯობა-ნახვამდისო, — გვირილას ყვავილის ძირას ჩანვა და ჩაიძინა.

— ნეტავ, ამორი სიტყვის მეტი არადფერი იცის? — გაოცდა ჭიამაია, — არ იცის და ნუ იცის, რა კენა, იყოს და იძახოს, რამდენიც უნდა, უგ თავისი გამარჯობა-ნახვამდის. — გადამწყვიტა ბოლოს.

ჰო, და, ამის შემდეგ... გამარჯობა-ნახვამდის, გამარჯობა-ნახვამდის... ასე ისმოდა ყოველ დილა-საღამოს.

ერთ საღამოს ჭიამაიას მინდვრიდან მოფრენა შეაგვიანდა; ვისთვის ეთქვა მწერს გამარჯობა-ნახვამდის!? — ალბათ თამაშით გაერთო, აღარ დაიცადა და გაფრინდა თავის საქმეზე; დღით რომ მოფრინდა, ჭიამაია კიდევ არსად ჩანდა, — ალბათ გამასწრო გაფრენა, ან მე შემავიწყებდა მოფრენაო, — გული დაიმშვიდა მწერმა, მაგრამ საღამოსაც რომ არ გამოჩნდა, უკვე ძალიან შემფოთდა: — არა, იმის თავს რაღაც კარგი ამბავი არ უნდა იყოსო, — გაფრინდა, მინდორი მიმოიფრინა:

— ჭიამაია არ გინახავთ, გვირილას ყვავილზე რომ ცხოვრობს? — ჰკითხა ჭრიჭინებს; ჭრიჭინებმა ყურიც არ ათხოვეს, თავიანთი სიმღერა-ჭრიჭინით იყვნენ დატოულნი.

— ჭიამაია არ გინახავთ, გვირილას ყვავილზე რომ ცხოვრობს? — ჰკითხა კუჭკალიებს.

— თვალიც არ მოგვიკრავს...



— არც ჩვენ, — კითხვაც არ აცალეს ბავაყებმა; ხელიკებმა...

არც ჭოჭმა იცოდა არადფერი; ბოლოს ურჩია, ყოველ შემთხვევისთვის, გვირაბში მოქებნეო.

— გვირაბში რა უნდოდა?! — შეუჭვდა კი მწერი, მაგრამ სასწრაფოდ იქით გაქანდა; პირდაპირ, გულდაგულ შეფრიალდა გვირაბში. არც უფიქრია, მეც არ დავიკარგო; დიდხანს იფრინა... უეცრად ყურისძირას ჩურჩული მოესმა: — შორიდანვე დაგინახე, იმიტომ რომ ციმციმებ. ვინა ხარ? მზის სხივი ხომ აქ ვერ შემოაღწევდა?! მწერმა მიხედა ჩურჩულით მოლაპარაკეს, ჭიამაია იყო. მაშინვე ორივენი მოტრიალდნენ და უკან გამოსწიეს... ჭიამაია ამ შანთობელას ციმციმს მოსყვებოდა უკან.

— ვინა ხარ? — ჰკითხა ვიდევ ჭიამაიამ. მწერმა იქით ჰკითხა:

— აქ რა გინდოდა ამ ჯურღმულში?

— მე და ნიაგი დამალობანას ვთამაშობდით...

— კარგად გითამაშიათ... კარგად დაემალეთ ერთმანეთს, არა?


— არ ვიცო დამემალა თუ დაეძინა, სადღაც კი გაქრა, — ამოიოხრა ჭიამაიამ.

— სულერთი არის? შენ კი მარტო დარჩი და...

— შენ რომ არ მოსულიყავი, რა მემუღელებოდა, ისე მემინოდა ამ სიბნელეში, სიცოცხლეში, — ანუნუნდა ჭიამაია.

— ნიავს რომ არადრისა უშინია, არც ჯურღმულეზისა, არც ქვესკნელების, არ იცოდნი იმ კუ-

დიანთან თამაშს თავი დაანებე... ამ ლაპარაკში გვირაბიდან გასასვლელს შიადნიეს. უცებ დიდი სინათლე ეცათ თვალბში — მზისა...



კადრიც, ავსოვს მღერა და...
 კონცე, მგორედ შეიშობა ველად...
 აი, გგორილან ყველაღის გამაზნდა...
 ცნობიელა მამიხვე დასაძინებლად...
 და თავის ადგილას; საღამოს, ვის იქნის...
 ხნ მოქუნი მოუფლებოდა, კიდევ...
 ვამაზინავს...
 აღბე უკუწინა მინდორში, ძალიან დაღლილ-
 დაღებულად უკმაშიელა თავგებასველით და
 მთელი დღე გვიორილას ყვევილის ფერცელ-
 სე იჯდა.

შემდეგ?
 შემდეგ კი, ისევ ისევ გავრთულდა, ისევ
 ისევ, გამარჯობა-ნახვამობს, გამარჯობა-
 ნახვამობს, გაისმოდა ყოველ დღელ-ღამელს.



მხატვარი ნანა სანია

... ვამაზინამ თავის მშველელს შე-
 ხედა, ხომ უნდა გვეტო, ვინ იყო; შე-
 ხედა. და იცნო თავისი მგზობელი „გა-
 მარჯობა-ნახვამობს“.

— შენ ხარ? როგორც კიბციქივდი და
 ახლა რატომ აღარ ცმციქივ?

— ციციხაივდი ვარ, ზემო პატარა სი-
 ნათლე დიდ სინათლეში ჩავრგები...

— უეროდება, — გაუსწორა სწრაფად
 ვამაზინამ, — მაგრამ ეს კი ვარგად სიანს
 ვინც ამათებდა სიბნელეში. — მერე, უკვირ
 გამიხიორულდა ვამაზინა, ფრთები ააფარა
 თქალს. — რა ვარგია, რომ დავეკარ-
 გე, რა ვარგია, რომ დაუკარგე, ისე
 ხომ ვერ გავიკვებდი, რომ ასათბე...

... ციციხაივდა განყრა.

შეავსე
 კროსვორდი
 აღამიანის
 სახელებით



11 დღის
 პაუზა

მ	ა	ბ	გ				
ს	ა	რ					
მ	ა	ნ	ქ				
		ქ	ბ	ი	კ	ა	
ბ							
მ	რ	ბ					
ყ	ო	ფ	ა	ჟ	ც		
ჭ	ი	ა	ნ	ჭ	ვ		



მზავრო-უნინარი

გათენდება დილა -
აწვალენ დილაკს.
თორმეტე და სამსე -
კაკუნია კარსე.
მორუელსე თუ ორსე -
თაძამობენ მორსეს.

შერულდება ხუთი -
ვილაც წვიმის კუდით
გამჭვირვალე წვეთებს
სარკმელს მოამსვენებს.

წარი რეკავს ექვსე,
დაიძახებს ღვესო:
- ჰეი, მანდ ვინ არის?
- მესავრო უჩინარო...
შებინდდება, რეკავს
კაკუნია კარსე.

თუმც გულში აქვს შიში,
სმას თბობებს ბიჭი:
- ჰეი, მანდ ვინ არის?
- მესავრო უჩინარო...
გამოაღებს მარდად,
კართან არევი არ დგას.

ღვესომ აბეწარი
მიანც დაინახა:
- ნახეთ, ვინ უფილია
თურმე ეს ტრანახა,
აღარ მოიხვენებს,
თუ არ გაიღახა!

გადარევის შიში,
ელმება ძილში:
- ხომ გიგანი, ქარო,
მესავრო უჩინარო.

პიჭი

დაიტანჯა ბიჭი -
არ ამოსდის კიჭი.
მე ონერო კიჭო,
ამოსვიდე, გთვობს!
ასღუკუნდა კიჭი:
- ამძორმა მიჭირს.

ჯერ მოიცა, კიჭო,
რომ მოთქვამს და ტირის,
როგორ გამტყვრევიროს
კაქალი და თხილი.

ჯერ ისვენებს ბიჭი,
არ ამოსდის კიჭი.



სისრული



ეროვნული
6060 ბუხარაძის ქუჩა



- სოფიკო, ცოტა ხანს მოდი აქ, შეილო, - გადამხა აიენიდან ეზოში მოთამაშე შეილიშვილს ბებიამ. სოფიკომ მაშინვე მიიბრინა:

- რაო, ბებო, რა გინდოდა?
- ავრემც გუნაცვლები. ერთი ნემსზე ძაფი ამი-
გე- უთხრა გოგონას ბებიამ, თან შავი ძაფის კოჭი და ნემსი მიაწოდა.

სოფიკომ ძაფს თითებით წვერი წაუგრიხა, ნემსის ყურწს უსისწერა და წამსვე შეაძვინა ჭკურუტანაში. ის იყო, ახლა კოჭიდან ძაფი უნდა მოეწვიტა, რომ ბებიამ შეაჩერა:

- ცოტა გრძელი მოაწვიტე, შეილო, ეგ მოკლე იქნება.

გოგონამ ძაფი დააგრძელა და გაოცებულმა ჰკითხა:

- რად ვინდა, ბებო, ამსიგრძე ძაფი?
- ეხლა მაგდენი არ დამჭირდება, რო ეხმარებ, ნემსზე კიდევ ბევრი დარჩება, იმას მერე გამოიყენებ და სხვას აღარ შევაწვუებ ძაფის ასაგებად.

- მაგაზე ნუ იფიქრებ, ბებო, აქ არა ვაქა მე ავიგებ, - თქვა გოგონამ და ისევ სათამაშოდ გაიქცა.

- აბა, როგორ ამიგებს, ქა, სადაც არის უნდა წავიდეს, - ჩაიცინა მოხუცმა.

სოფიკო საზოგადოებრივ არსადეგებზე იყო ჩამოსული სოფელში ავეისტოს ბოლოს დედა და ძამა ჩამოვიდნენ მის წასაყვანად. ბარგი ჩააწვეს, გაემზადნენ, ბებიასაც დაემშვიდობნენ და, უკვე მანქანაში სხდებოდნენ, რომ შემფოთებულმა სოფიკომ ხვეწნით უთხრა დედას:

- რაღაც დამავიწყდა, დედა, ცოტა ხანს ბებოლა ავალ!

- იმე, იმე, იმე, დედაკონებ,



მსახარამ ბიორგი ჩაჩანიძე

მალე უნდა წავიდეთ. გოგონამ ხელად აირბინა კიბე და ოთახში შევიდა. ოთახის კედელზე კარგა მოზრდილი ხაერის ბალიში ეკიდა; ზედ ათასნაირი ნემსი იყო დარჭობილი; ზოგი მოხრილი, ზოგი მსხვილი. სოფიკომ ბებიას ხელსაქმის ყუთი მოიტანა, იქიდან ჯერ თეთრი და შავი ძაფი ამოიღო და ნემსებზე ააგო. მერე იმათ სხვებზე მიაყოლა. ყუთში რა ფერის ძაფიც იყო, თითქმის ყველა ააგო ნემსზე და ერთმანეთის მიყოლებით ხაერედის ბალიშზე დაარჭო, იქნებ ესენიც დასჭირდეს ბებიასო. მერე შორიდან გახელა ბალიშიდან ჩამოსული ფერად ძაფებს და მიეწონა:

„რა ღამაზია, ნამდელი ცისარტყელაა, პატარა ცისარტყელა თანაც რამდენია, სანამ ბებიას სათელეს გამოუეგზავნით, ეყოფა კიდევ“, - თქვა გულში და გაიქცა... დამშვიდებული ჩაჯდა მაქანაში.

ამის შერდეკ გავიდა რამდენიმე დღე. ბებიას ნემსი დასჭირდა, მივიდა კედელზე ჩამოკიდებულ ბალიშთან და რას ხედავს! ყველა ნემსზე გრძელი ძაფია აგებული: თეთრი, შავი, წითელი, ლურჯი თუ იისფერი...

„ი, თურქი რას შემპარბა. მე კი არ დაეიჯერე, ლმერთო, გაზარდე და გაამარჯულე!“ - დალოცა შეილიშვილი მისი ზრუნვითი ულოკმობარმა მოხუცმა და ბალიშიდან ერთი ძაფიანი ნემსი ამოძარო. მაგრამ მანც არ მოშორდა ბალშს, ღიმილით უუერებდა და იმასაც მოსწონდა ქუჩებდა ჩამოსული იერადი ძაფები. ღამაში იყო. სოფიკოსი არ იყოს, ბებიამაც მიახვესა პატარა ცისარტყელას.



შუშანა მგალაძე
პატარა ბიჭის
ფიქრები

მინდა ვიმეურნალო,
 მინდა ვაგამრთულო,
 ორად ვაჩქეხლო
 ჩემო საქართველო.
 მსურს გუგულში ჩავიკრა
 ეს მინდორ-ველები,
 რომ არ ვადათულოს
 მტერმა ყუავილები,
 ციხურად მოდივლივე
 მღელვარე ტალღები,
 ჩემი მკვობრები,
 აუხანაი ბაღლები.
 თამა ავვიოხრა,
 ტანკმა ვადათხარა
 ნისლის თეთრ კაბაში
 მდგარი ავადხარა.
 ვურცხლისფერ ნამუფებში
 მთვარეს ჩაეძინა,
 მსე და ვარსკვლავები
 სღვამე ჩაიძირა.
 გოლითი მთები
 ფეხზე წამოდგანან,
 ვიხეუბი კლდის ქიმსე
 რატომ აღარ დგანან?!
 პატარა ბიჭი ვარ
 და რა ვხას დავადგე?!
 როცა ვავიწრდები,
 იქნებ ვამოგადგე.



გაიქნა
 შუშანა მგალაძე



ნახი თარგამაძე
ბაიშარჯვა
ბაბომ

ვაიმარჯვა ბებომ, მკონი,
 შემაქანა ბევრი ღოძი,
 ამის შემდეგ, როგორც იქნა,
 დავამთავრეთ ,,დიდი ომი“.
 ახლა როგორ ვითამაშო...
 როგორ ვავიტანო გოლი?
 მკონი თავად ბურთსა ვუვარ,
 ხან მკონია თავი დოღი.
 რაც შეაქანა ბებომ ღოძი
 ვერ შექანდა მკონი ღორი,
 მაგრამ უნა ერთი ღორი,
 ვკვიცივით ორი, ორი.



მხატვარი: დარეჯან ზილახვილი



დავით ხუროძე
შირაფი

დაცხა, ვუწნატრებოდა
წუადლი შაპის კოკით...
ჭა რომ აღმოვაჩინეთ,
მაშინ ვაწუდა თოკი.
ბუღსე განნდა ქირაფი,
კეთილი და წუნარი,
წაივრძელა კისერი,
როგორც ოწინარი,
ამოვვიღო ჭიდან
ქინუღივით წუადლი!..

ლია კობალაძე

სიკათე

ვეკითხები დედიკოს:
- რაა, დედა სიკეთე?
- რა და, გრძნობა, მოძმისთვის
ცვლნლს რომ შემოგაკეთებს.
როცა არ გაუცრუვებ
მოიმედეს იმედებს,
ღუკემას სხვას რომ გაუყოფ,-
სითბოს რომ გაიძუტებ.
მუნს ხორანს გუღმი ეს გრძნობა
ახლა კვირტებს იკეთებს,
მერე გაიფურჩქნება
და იქცევა სიკეთედ!..

დალი მაზმიშვილი

წვიმის წვეთი მღერის

წკაბი, წკუბი, წკაბი, წკუბი
წვიმის წვეთი მღერის,
ჭრელ მინდორზე დაძუბულა,
წვიმის საქანელით.
გზაზე წვარო დასწევია
ბროლისმძივა ჩქვროთ,
ფუნქემ რიღად გააფენია
მოქანავე დედი.
წკაბი, წკუბი, წკაბი, წკუბი...
წვიმის წვეთი მღერის,
ფურცის, თაღის, აბრის თათლებს
აღმუბებს და მუყეით.



ქურდბაცანები

საღიომე ბებია ვენახიდან გაჯავრებული მოვიდა. ჭრული წინსაფრის აკეცილი კალთა ეზოში ხელით ჩამოიბურტყა და მისწაზე ყურძნის კლურტები დაკვივდა.

გიორგი პაპამ კლურტებს დახედა და თქვა:

— კიდევ უჭამია!

— ვანა ცოტა? ზოგი ვაზი მთლიად ჩამოსვლეპილია. ის ვურანა სადაც მისწვდენია, მარცვალი არ შეურჩენია ვაზისთვის. თუ არ მოშორდა ვენახს, როვლობამდე მთლიად გაგვინახვრებს, როდემდე უნდა ხანსლოს ყურძენი იმ თხერტილიშა?

— იმასაც ხომ უნდა არსებობა, დედაკაცო, რა ვახნდა ორიოდე მტვევანი. ვუ რა სალაპარაკოა?! — უსაყვედურა გიორგი პაპამ შეუღღღეს.

— უ არხენიო, არც შენი თავი გუცოდება და არც — ჩემი. მა ის შევილივით ვაზრდილია, ნალოლიავეები ვაზის ნაყოფი ნადირს შევაჭამით? ან რა ბისუსს ვაცემ შემიღვიღლებს, ბები ენაცვალთ იმათ, როველში ქალაქიდან რომ გვესვენვან და ჩამოსვლეპილ მტვევნებს ნახავენ, არ იტყვიან, ამ ვენახს პატრონი არ შეავდათ? — არ ცხრებოდა საღიომე ბებია.


— ეს, შენ ხომ კაცი ვერ გაჯობებს ლაპარაკში! — გიორგი პაპამ ხელი ჩაიქნია და სახელში შევიდა. მალევე გამობრუნდა. მხარზე თოფი გადაიკიდა, ბირუშუმრა ეჭო გადაიარა და ჭიშკარი გაიხურა.

მეღის ვენახში გიორგი პაპა და ფიქრობს, რა სჭამს ყურძენს, რა უნდა იყოს: მგელი? ტურა? მელია? თქნებ მასწანვალა ძაღლია, იმხანც იცის ყურძნის ქაპა. წინასწარ რას გაიფებს კაცი, თუ თვალით არ ნახა!

გიორგი პაპამ აღაზნის არსს ქვევით, ვენახების თავში ვაზა გადაიარა. თავის ვენახს რომ მოუახლოვდა, მხარზე გადაკიდული ძველი „ბერდენკა“ გადმოიღო, წაიკუსა და ჩუმად, ფეხკრეფით წავიდა წინ. თან მწიფე ლუღლუღა ყურძნით დატკვევილ ვაზის ძირებს უთვალთვალელებდა.

მოსაგვალს კარგი პირი უჩანდა, მალე როველს გაანაღვდა სიფელია.

— თქვენ კი ვენაცვალთ პაპა, ბიჭებო! — წამჩურჩულა მოხუცმა და შეილიშვილები ინატრა, ნეტავი ახლა აქ შეაგდენენ, გვერდში მომცეპბოდნენო.





უცუბ ვიორგი ბაბა ადგილზე გახვდა. უფრო მოიკუნა, ბალახებში კურდღლივით წაცუქქდა.

ვენახის ბოლოში, ვახის რიგთან თაფლისფერ ბაღიან ნადირს მოიპკრა თვალი. ვანა ერთს? სამს. ერთი დიდი იყო, ორი — ბატარა, ისინიც თაფლისფერები. იდგნენ უკან თათებზე შეშართულები. წინა თათები ვახის შტამბისათვის მიეზახინათ, ლამაზი, ბუთქუნა კედები სასაცელიდ ვაჟეშვიკით და კისერწაგრძელებულები მტკვნებოდან ყურძენს მარცვალ-მარცვალ სვლებდნენ, პირს იტკბარუნებდნენ.


— აი ვინ ყოფილან ყურძენის ქურდები. მკლიების მოვლი თვახი მობრძანებულა. მე თქვენ

ვინვენებთ ხეირს, დამცაო! — დამუქრა მკლიებს ვიორგი ბაბა და თოფის საკეცი ფრთხილად გადმოსწია, ლულა ცისკენ შეშართა და ძველმა „ბურდენკამ“ მესხვით იქუნა. თოფის ხმამ მულაკედები დააფრთხო, ერთ წამში გაქნენ. ვინ იცის, საით ვარბოდნენ დაფეთებულები.

— ვგრე გინდათ, ვგრე თქვე ქურდბაცაცებო, ამის მერე აქეთ პირს ვუღარ იზამთ! — სიცილით მიაბახვა ვიორგი ბაბამ, წელში გაიშართა და თოფი მხარზე ვადაიკიდა.

— ნეტავი ბიჭები აქ ყოფილიყვნენ და თავისი თვალით ენახათ ყურძენიპარია მულაკედები! — ამბობდა შინისკენ მიმავალი, დიმილაქცეული მოხუცი.

თანამიმღვერულად
შეაერთე
წერტილები




ჩენო პატარა! შენ ალბათ ხშირად გესმის სიტყვები „პოლიტიკა“, „პარლამენტი“, „მოთხოვნა“, და არ იცი მათი მნიშვნელობა. პოდა, იცოდე, რომ **პოლიტიკა** არის სახელმწიფოს, ქვეყნის მართვის, ადამიანების ცხოვრების მოწყობის ხელოვნება, **პარლამენტი** სახელმწიფოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა, **მოთხოვნა** კი - უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო.

ოღონდ ისიც უნდა გახსოვდეს, რომ ყველა ვინც სახელმწიფო საქმეებს განაგებს, ადამიანია; ადამიანი კი, როგორც ყველაფერი ამ ქვეყნად, დადებითი და უარყოფითი, ანუ ცუდი და კარგი საქმეების მთლიანობაა. სიცრუე, ანუ სიმრუდე და სიმართლეც ადამიანური ბუნების წინააღმდეგობრივი წყვილია.

როდესაც ჭკვიანი და სამართლიანი ხელისუფალი, პოლიტიკოსები და პარლამენტარები მართავენ სახელმწიფოს, ქვეყანაში წესრიგი და თანხმობა სუფევს. ბოროტი გონებისა და მრუდე ბუნების მმართველები კი არ ითვალისწინებენ ხალხის ინტერესებს, თვითნებურად წვევტენ საქვეწოთ საქმეებს და დიქტატორებად იქცევიან.

სამეფო საბჭო დღევანდელი პარლამენტის წინა სახეა.



საქართველოში ვერ კიდევ XI საუკუნეში არსებობდა სამეფო საბჭო - „**დარბაზი**“. „დარბაზის“ წევრებს „დარბაზის ერნი“ ერქვათ (ამ სიტყვიდან შემდგენილია სიტყვა „დარბაზი“), ხოლო სიტყვა „დარბაზობა“ რაც თავდაპირველად „დარბაზის“ საქმიან

დახაზი



სახლომას აღნიშნავდა, სადღესასწაულო-საზეიმო მღვდლების მნიშვნელოვან შიშვენილი (პრემიერ-მინისტრი) იყო „მწიგნობართუხუცეს-ჭყონდილი“, და მას ყველა საქვეწოთ საქმე ეხებოდა. სახელმწიფოს დემოკრატიული, პარლამენტური მართვა



დიქტატორით უკმაყოფილო ადამიანების აღშფოთება ხოვგვერ შეიარაღებულ აჯანყებაში გადაიზრდება; ხელისუფლების აარადით, ძალით ხელში ჩაგდებას, რასაც ერთი წყობილებიდან სხვა წყობილებაში გადასვლა მისდევს, **რევოლუცია** ეწოდება.

როცა სახელმწიფოს ხალხი მართავს, ამას **დემოკრატიული** მმართველობა ეწოდება



(„დემოს“ ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ხალხს).





კიდევ უფრო სრულყოფილი გახდა თამარ მეფის დროს.

პარლამენტი - უმაღლესი წარმომადგენლობითი საკანონმდებლო დაწესებულება ანგლისში შეიქმნა მე-13 საუკუნეში. დღეს ახეთ დაწესებულებას, რომლის ვალია კანონთა გამოცემა, სახელმწიფო ბიუჯეტის მიღება, საერთაშორისო ხელშეკრულებების დამტკიცება და სხვა, ზოგან პარლამენტი ჰქვია (დღე ბრიტანეთში, იაპონიაში, საქართველოში...), ზოგან - **კონგრესი** (ამერიკის შეერთებული შტატები და ლათინური ამერიკა), შეუცვიაში - **რიკსდაგი**, ფინეთში **სეიმი** რუსეთში სათათბირო - **დუმა** და სხვ.

PARLIAMENT



დღევანდელ მსოფლიოში პარლამენტს, ხელისუფლებას აღმაინები თვითონ ირჩევენ. არჩევები ზოგ ქვეყანაში 4 წელიწადში ერთხელ იმართება, ზოგში - 5 წელიწადში ერთხელ, ზოგან კი ყოველწლიურადაც არჩევნებში მონაწილეობის და თავიანთი სასურველი აღმაინებისათვის ხმის მიცემის უფლება აქვს ყველა სრულწლოვან მოქალაქეს.

ის აღმაინა ანდა პარტიები (ერთნაირი პოლიტიკური შეხედულებებისა და მიზნების მქონე გაერთიანებების, რომლებსაც ხელისუფლებაში მოსვლა უნდათ, ჰპირდებიან ხალხს, რომ უკეთესად მართავენ ქვეყანას, და ამ

გზით ცდილობენ ამომრჩეველთა უპრავლესობის მიმხრობას, რაც შეიძლება მეტი საარჩევნო ხმების მოპოვებას. რომელი პარტიებიც მეტ ხმას მიიღებენ, ისინი ადგენენ პარლამენტს პარლამენტს. ავალბებს **მოთავრობას**.

მოთავრობა შეიძლება დანიშნოს სახელმწიფოს მეთაურსაც - მუფედ ან პრეზიდენტსაც. მოთავრობა (მინისტრთა კაბინეტი) პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე - მან უნდა იზრუნოს აღმაინების ცხოვრების სხვადასხვა მხარეზე ზოგი სადინისტრო წესს, როგვს და კანონიერებაზე აგებს პასუხს, ზოგი-ჯაიის შენახვაზე; ზოგი - კულტურის განვითარებაზე...

ყოველი ქვეყნის პარლამენტში არის ორი ძირითადი დაპირისპირებული მხარე - **მმართველი უმრავლესობა და ოპოზიცია** - ორივე ცდილობს თავის



ვისი შეხედულებისამებრ მართოს ქვეყანა, ორივე თავთავისებურად იცავს ხალხის ინტერესებს, მაგრამ ვინ მართავდა, ვინ - მრუდი, ვინ კეთილს თესავს, ვინ - ბოროტს, ხალხმა თავად უნდა გაარჩიოს და აარჩიოს.

ხალხის, მოქალაქეების, ანუ ამომრჩეველების ნებაზე დღიად არის დამოკიდებული ქვეყნის მომავალი, შენი და შენისათვის ბედნიერი და გაღალბებული მომავალი.



უფალმა გავეკეთებინოს სწორი არჩევანი კარგი, მართალი და კეთილი მომავლის საწინდრად.



**ტარიალ ჟანგური
დათუნია**

გული ჩაიკოკლოზინა,
ესე იგი - ჩაიწმინდა!
მურე ჩაიც მოითხოვა:
- გენაცვალეთ, ჩაიც მინდა!



ტარიალ ხავთასი

ფუტკარი და დათუნია

დათუნია მიეპარა,
თურმე, ფუტკრის გუჯახაო
და შეუდგა მძიმე ტორით
მორის მტვრევა-გლეჯახაო.
მაგარამ ფუტკარს არ ემინა
და ხესტარი აღესაო;
თავი ისე გაუსივა,
ველარ ახელს თვალღებსაო.

**სულ სხვის ტანსაცმელს
ნუ იცვამ, გიჟო!**

რომ არ გაშიცვიდეს ზურგი,
მოვისურუ ბებოს ქურქი!

რომ არ გაშიცვიდეს კეფა,
დავისურუ ბაბუს კეპი!

რომ არ გაშიცვიდეს ფეხი -
მაქვს დედიკოს „საპოკები“!

ზამთრის სულ არ შემინია,
ასე ადრე მიტომ ვღვები!



ბაჟან სვანიძე


**გინდ გათოვდას,
გინდ განვიმდას**

შეშოღკომის ქარი დაჰქრის,
მზე ვერ ათბობს ველებს, მინდვრებს.
აწი აღარც მენადვლება,
გინდ გათოვდეს, გინდ გაწვიმდეს -
ზაზამ ჩექმები მივიდა,
ბებო მიქსოვს ახალ წინდებს!

მხატვარი ვაჟა ჟურხული

მაგიდის თოჯინების თეატრი

საქართველოს
ზენა ლავაური



ზენა ლავაური

აილე მუკოსი ყუთი, დაახლოებით 50X50X50-მე სახსრისი და გამოჭერი, როგორც ეს სახატგმა ნაწიწენ-
ბი. შიდა მხარეს მიაკარი ცისფერი ქაღალდი ან შეღებუ. ეს იქნება ცა. თუ ძირს მწვანედ შეღებავ, გამოიყა
მდელი. თეატრის სჯონს ვარდღიანე მოხატო. ახლა ფარდაც ჩამოკოლე მაგარ ძაღზე ან ქაზე. აი, ასე! და
თეატრიც მზად არის. აარსე რაიმე მზაპარი, მაგალითად, ნაყარქქია. დახატე თოჯინები მაგარ მუკაოზე
გამოჭერი (უხაე მერწვა და კერეა ეხერხება, შეუძლია საძერწი თხით დაამზადოს თოჯინის თავი და შედ
ბამით გამოტენილი განსაკმელი მამაგროს. მერე თავზე წერილი მიეთული დაუმატრე და მარიონეტეც მზად
არის. დეკორაციები ქაღალზე დახატე და სეენის შიდა მხარეზე დაამატრე.

ახლა მეგობრებმა ვიანაწილეო როლეში, ერთი დევი იქნება, ერთი ნაყარქქია, ორნი - ნაყარქქიას
ძმები. არ დაგვიწყდეო სექტაკლის მუსიკალური გაოორებმა! შეარჩიეო შეხაფურისი კასეგა ან ფორფიგა, ან
ვინე დაკერა იყის, შიანინოს მიუჯდე. შლაპარს სჯორღება წამეყიანე - შემღარე სეენა შეეცოდითი მაგიდის
ლაშუთი ვაანათოთ. მოწვიეო სექტაკლზე ბეზია-ბაბუები, მშობლები და მეგობრები, შემოდეთი თეატრი
მაგიდაზე, აანთიე მუქი, გახსენთ ფარდა და... მზაპარიც დაიწყო...

ფანტური

ოთარ შალაშაბრიძე

სული ჩაუდგა ქართულმა,
დახვეწა, მოაჩუქურთმა:

ვინც ეოთ მისი კამთლელი,
ღმერთმა მარაუყენ უკურთმა.

სულ სამი ღარი აბია,
დათაფლულია სამიოქი:

ეს არის მისი სიმდილე,
და მისი მოავალეამიოქი.



ერთ ღარს ენისას უსმობენ,
მოდინ, რაც ფანდღუს მოება;
მეორეს ჰქვია მამული,
მესამეს - სარწმუნება.

აღოცე ახსოვს ასაკი
სმატკიბოს და ძალადღეროვანს;
აღბოთ იმდენი წლის არის,
რე სნისაც საქართუვლოა.

მსახარი ბიორგი ჩარანიძე

საქართველოს
მრთველი
ბიორგი



ქრისტიანობა

მთა „პორი“ ხანსკრიტულზე ნიშნავს „ხიმაღლეს“. „ცას“. ძველი მსოფლიოს ხალხები მთას სამყაროს ხახვად და მოვლად აღიქვამდნენ. ვეკაპტური და მექიკური პარამიდებიც მთის ფორმისაა და ისინიც სამყაროს, კოსმოსური წესრიგის მოვლად მიაჩნებოდა.

მთას წარმართული ღმერთების სამყოფელადაც თვლიდნენ. მაგალითად, ძველი ბერძნების წარმოდგენით, ღმერთების ადგილსამყოფელი იყო ოლიმპოს მთა. საბერძნეთშივე, პარნასის მთაზე ბინადრობდნენ, მათი წარმოდგენით, მზისა და სიბრძნის ბრწყინვალე ღმერთი, ზელოურებათა მფარველი დეოთება აპოლონი და მუზეი.

ძველბერძნული მითის მიხედვით, ზეცისა და მიწის დიდებულ შვილი, ტიტანი პრომეთე, რომელმაც ღმერთებს ცცხელი მოსტყვა და ადამიანებს ჩამოუტანა, განისიხებულმა ღმერთებმა კაცობის ქელს მაკავებენ. პრომეთესთან ჰყავს გათავებული ქართველ ხალხს „კაცობის მალად ქედზე მთავარული ამირანი“, რომელსაც ყვავ-ფრინველი უფლებიერ გულ-მკერდს და რომელსაც კერა და ვერ გაუწვევია ტყეობის ვაჟკო.

ადამიანებისთვის ცცხელი მოტანაზე ერთი სიკარული ლეგენდა - ჰაბუკუბე, რომელიც უშმაზე ავიდა, რომ მისი მწვერვლიდან ბედნიერების მომწიჭებელი ცცხელი წამოვიღო.

მიუხედავად ამის დაკავშირებული ბიბლიური ისტორიებიც. მაგალითად, სინას მთაზე ვანუცხადა უფალმა ღმერთმა: ბიბლიურ პატრიარქს მოხეს ათი მცენება (სულელები) ცცხელზე ცცხელზეანი ასობები ამოუკვეთა ადამიანთა წმინდად ცხოვრების ათი შეუვალი კანონი. მორიას მთაზე აიყენა აბრაამმა თავისი შვილი ისაკი, რომ ღმერთ-ბიბლიის მსხვერპლად შეეწირა ის. წარღვრის მთის უკავშირებენ არარატის მთას, სადაც კოხიმი დღესაც არის სოფს კილიბნის წარწერები კილიბნისა, რომელმაც წაღვეკვს ვალიაბონის ადამიანები და ცხოველ-ფრინველები, მათს წარღვრის შემდეგ კვლავ გაგრძელდა მათი ცხოვრება.

სიციცხლე დედამისაზე ანდა, ვოქვათ, გოლგოთა, სამსჯავრო ადგილები.

სადაც ჯვარს აცენს ღმერთი, ძე დეოთისა - იესო ქრისტე.

აღმა ქრისტიანული რელიგიაც იხიარებდა მთილოგიური და ბიბლიურ წარმოდგენებს, მთებისა და ღმერთების კავშირს. ამიტომ ხშირად ჩვენს ქრისტიანულ კვლევებს მოხება და ამაღლებულ ადგილებზე აშენებდნენ.

დედამთის ზურგზე ველზე მალად მწვერვალს, ჰიმალაის მთების მდებარე ვეკარეტს, მთის ძირში მცხოვრები ადგილობრივი მკვიდრები ზოგნი საგარამატკას უახიან, რაც ღმერთების დღეს ნიშნავს, ზოგნი კი - ჯომოლუნგმას (ღმერთქალი - მთათა დედა). ჰიმალაის ერთ-ერთ უმაღლეს მწვერვალს - კანჩენჯანგას კი

დეოთებად თვლიან და კრძალავენ მასზე ფეხის შედგმას. ეს იციან მოამსყლელებმა და არაიის არახსილს ფეხი არ დაღვეამს კანჩენჯანგაზე - ორი მეტრია რომ აკლდებლიათ მწვერვალამდე უკან ბრუნდებოდნენ.

თუმცა მწვერვალის დაპყრობილად ითვლებოდა არადა სიტყვა „დაპყრობა“ ვერყოფილა აღბინისტებს შორის.

მწვერვალზე ასობები ისინი ამბობენ - მთა-ამიწერი. აი, ამას კეეია ის, რაც ერთი ფრაზა განმარტა კომმა ამოიკვება მთისველმა მექე მარემ: „აღბინი ხში, უწინარეს ვეკვლისა, მწვერვალების პატივისცემა“.

ახიამი, ჰიმალაისა და პამპის მთიანეთში ვეკრეტის გარდა კიდევ ცამეტი უმაღლესი მწვერვალია. ისინი 8 000 მეტრზე მაღლები არიან, მაგრამ მხოლოდ ზღვის დონიდან ათვლით. ისე კი, ჩვენს პლანეტაზე უმაღლესი მთა წყნელქვეშ, წინარე ოკეანეში მდებარე მთა მაუნა-კეა არის. მისი ხიმაღლე ოკეანის ფსკერიდან

მთლიან მდებარე, ანუ 10 კილომეტრია. ვეკრო კი, წყლიდან პავის ერთ-ერთ კუნძულად არის ამოხიდილი. საინტერესოა, რომ თვით ეს ჩემპიონი მთა არ ყოფილა ველაზე მაღალი. ველაზე მაღალი მთა, ჩვენი მზის სისტემაში, თურმე ყოფილა პლანეტა მარსზე მდებარე ოლიმპი.





ახლა ორივე სიტყვა ვთქვათ კავკასიონის მწვერვალებზე

ველას გაიგონიათ იალბუზი, მაგრამ, თუმცა ქართული ხალხური ლექსის მიხედვით ეხტანგ მეფემ მწვერვალებს ფეხი, იალბუზი „ქართული“ შთა არ არის, ის ებარღის ტერიტორიაზე მდებარეობს. სიტყვა „იალბუზი“ „ლოკლის ფაფარს“. მართალია, იალბუზი მოელს ეეროპაში უმაღლესი მწვერვალია, მასზე ასვლა ისე იოლია, რომ მეერი მოამსველობის პირველ გამოცდილებას აქ იღებს. მაგალითად, 1960 წელს იალბუზზე 1395 კაცი ავიდა. საქართველოში უმაღლესი მწვერვალია შხარა, რომლის სიმაღლე 5200 მეტრს აღწევს. რომ შვედართო ვერესტს, განსხვავება თავხარდამცემა, ეერესტი თითქმის ორჯერ უფრო მაღალია - 8848 მ. საქართველოს უღამაზუხი მწვერვალებაა „ხევის პატარბალი“ - მყინვარწვერი, ხვანეთის დიდებული „სამთავა“, კლდოვანი მწვერვალი უშმა, თფირი და სეტეკი თფონულდი (ხვანურად თფინული მოფერებით თფირს ნიშნავს).

კავკასიონის უღამაზუხი მთების შუიღებს - ქართველებს შუღამ იზიღდავა მოამსველობა. თუ ვერესტზე პირველ ამსველეს თფსინგ ნორვეის „ლოკლის ეეფხეს“ ემაზღნენ, ჩვენ გეეევადა აკლდეების ეეფხეო, მიხიღლ ხერგიანი; ჩვენი აღბისიტები ახული არიან არა მარტო კავკასიონის, არამედ სხვა ქღების მწვერვალებზეც. სულ ბიღო ხანს, 1999 წლის მასში ჩვენები ორჯერ ავიღნენ აღადამისის მესამე პოლუსად“ წოღებულ ეეერესტზე.


ახლა კი ჩამოფთავალით და დავიმასხვორით ეველაზე მაღალი მწვერვალები კონტინენტების მიხედვით:

- ეეერესტი, აზია - 8848 მ.
- აკონკაგუა, სამხ. ამერიკა - 6960 მ.
- მაკ-ინლი, ჩრდ. ამერიკა - 6994 მ.
- კიღიმანჯარო, აფრიკა - 5795 მ.
- იაღბუზი, ეეროპა - 5642 მ.
- ენისონის მასივი, ანტარქტედა - 5140 მ.
- ვიღქელმის მთა, აესტრალია - 4694 მ.
- ენსაზო, ორჯორ გამოიუერება მთების სიღიდის ფარღობითფერი სეტემა ჩვენს დღემამწავზე.




ე ვ ს რ მ ვ ა

აზია




აფრიკა

აზსხალია და მჯეანი



ჩრდ. ამერიკა

სამხ. ამერიკა



მინაფურები

ეტყობა იცოდე
 ვახია,
 რომ ძვიანბარს
 ახია,
 წაწი, გაჭყეუბა
 ხის ძირის
 და ხხეის ბლანში
 აძინებს!

გოჭი ჭივის
 მკეჩხრია,
 გნსაეუვად
 ატეხილი,
 გაუთილა -
 ბეუოკამ
 ქალსაჯარი
 ძვანუ ნადე...



ანის ანა
 უკინილამ
 დიდ მაძლთან
 აიილა,
 რომ მძვარა
 ანამ უოთეო,
 დამცინიან
 ეათეუ...



ბაბოსკანაბი

 დაგოგმანთბ თეთრი მტრედი,
 ლულუნენს და თითოს ცეკვას,
 ბედნიერი დედოკოა, —
 ორი ხ... გამოიწვა.

ნანუნებარზე ბრინჯიანბ კლავს,
 მორკალულო ბ



დღეს ჩვენი გვერდის სტუმარი სამი ლაზი გოგონა იქნება. თეკლა და თამუნა ლექსებს წერენ, თეონა კი. მოჭადრაკეა — ლექსებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ უცნაური ზღაპრების გამოგონება და ხატვა კი ნამდვილად ეხერხება. ახლა პერსონალურად წარმოგიდგენთ თითოეულს.



